**დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.**
**28.01.2011**

ცვლილებები შეტანილია 04.10.2022 ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე

**თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე**
**სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი**

**სამაგისტრო ნაშრომის მიზანი:**
სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს. იგი არ არის ჯგუფური პროექტი. მასში უნდა აისახოს სწავლის პერიოდში შეძენილი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა. კერძოდ, დარგის/სწავლის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხებისა, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზედაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას.

სტუდენტმა სამაგისტრო ნაშრომში უნდა შეძლოს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი/ორიგინალური გზების მოძიება, უნდა გამოავლინოს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, ნაშრომში უნდა ჩანდეს, რომ სტუდენტს შეუძლია რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი. ნაშრომში შემოქმედებითად უნდა იყოს გამოყენებული თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, დარგისთავისებურებების გათვალისწინებით.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია სწავლის პროცესში მიღებული მთელი ცოდნის სისტემატიზაცია, დარგობრივი ცოდნის, კვლევითი, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების გამოვლენა.

**სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:** სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს თსუ აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი), ემერიტუსი პროფესორი, თსუ სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ–თანამშრომელი, თსუ დოქტორანტი, მოწვეული სპეციალისტი (შესაბამისი სასწავლო–სამეცნიერო ინსტუტუტის/ კათედრის სხდომის გადაწყვეტილებით).
სამაგისტრო ნაშრომს შესაძლებელია ჰყავდეს თანახელმძღვანელიც.
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი (თანახელმძღვანელი არსებობის შემთხვევაში) სემესტრის მანძილზე ორ-სამ კვირაში ერთხელ რეგულარულად ხვდება სტუდენტს ნაშრომის შესასრულებლად აუცილებელი კონსულტაციების გასაწევად და სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს ეტაპობრივად გასაცნობად.

ერთმა პროფესორმა (//ემერიტუს პროფესორმა, თსუ სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ–თანამშრომელმა, თსუ დოქტორანტმა, მოწვეულმა სპეციალისტმა) ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს მაქსიმუმ 3 მაგისტრანტს.

**სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევა:**

- ნაშრომების თემატიკა შეეთავაზება სამაგისტრო პროგრამის დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტს; სამაგისტრო ნაშრომებისა და სამეცნიერო ხელმძღვანელების სია განიხილება და ყოველწლიურად მტკიცდება შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის/კათედრის სხდომაზე.
- სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად სტუდენტი დამამთავრებელი სემესტრის

დასაწყისში, აკადემიური რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, ელექტრონულად რეგისტრირდება სამაგისტრო ნაშრომზე (შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის მითითებით), შემდეგ მიმართავს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს თემის სათაურისა და ხელმძღვანელის შესარჩევად. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ენა ქართულია (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სწავლება მიმდინარეობს სხვა ენაზე). უცხოენოვანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები ნაშრომს წარმოადგენენ იმ ენაზე, რა ენაზეც მიმდინარეობს სწავლება.

**სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა** – სამაგისტრო ნაშრომი შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1) თავფურცელი (სატიტული ფურცელი);
2) ანოტაცია;
3) სარჩევი (შინაარსი);
4) შესავალი;
5) ტექსტის ძირითადი ნაწილი, დასკვნა;
6) გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა;
7) დანართები.

**თავფურცელი (სატიტულო ფურცელი):** ივსება ქვემოთმოყვანილი წესის მიხედვით:

- ფურცლის ზედა ნაწილში იწერება სრული დასახელება უმაღლესი სასწავლო დაწესებულების, სადაც შესრულდა ნაშრომი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სამაგისტრო პროგრამის დასახელება) (შრიფტის ზომა: 14);
- 2-3 სმ-ის დაშორებით იწერება სტუდენტის გვარი და სახელი (სახელობით ბრუნვაში, შრიფტის ზომა: 16);
- შუა ნაწილში იწერება ნაშრომის დასახელება (შრიფტის ზომა: 16); (მას არ მიეწერება სიტყვა „თემა“ და ბრჭყალებში ჩასმა საჭირო არ არის);
- ნაშრომის დასახელების ქვემოთ იწერება მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, რომლის მოსაპოვებლად არის წარმოდგენილი ნაშრომი დასაცავად. (შრიფტის ზომა: 14); (მაგ.: ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად);
- თავფურცლის მარჯვენა ქვედა მხარეს იწერება ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი, აკადემიური ხარისხი, აკადემიური თანამდებობა (შრიფტის ზომა: 12);
- სულ ქვემოთ, ფურცლის შუა ნაწილში, იწერება ნაშრომის შესრულების ადგილი და დრო, ქალაქი და წელი (სიტყვა „წელი“-ს გარეშე) (შრიფტის ზომა: 12).

**ნაშრომს უნდა ახლდეს სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი.**

**ანოტაცია** – ნაშრომის ანოტაციაში აისახება თემის აქტუალობა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი, ძირითადი შედეგები, სიახლე; მოცულობა 150 –200 სიტყვა.
ანოტაცია უნდა დაიწეროს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

**შინაარსი (სარჩევი)** – ასახავს სამაგისტრო ნაშრომის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტ დასახელებას თანმიმდევრულად, მათი გვერდების ნომრის მარჯვენა მხარეს მითითებით. გვერდების ნუმერაცია უნდა დაიწყოს სარჩევის მომდევნო გვერდიდან თავფურცლის, ანოტაციისა და შინაარსის გვერდების რაოდენობის გათვალისწინებით.

**შესავალი –** წარმოადგენს ნაშრომის ზოგად ნაწილს, რომელშიც უნდა აისახოს თემის აქტუალობის დასაბუთება, მიზნები, დასმული ამოცანების შინაარსი, საკვლევი საგნისა და ობიექტის ფორმულირება, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდი, საკითხის/პრობლემის კვლევის მდგომარეობა, ანუ არის თუ არა საკითხი დამუშავებული, ვის მიერ, როდის და რა კუთხით. რით განსხვავდება მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წინა კვლევებისგან; შესავლის მოცულობა, სასურველია, არ აღემატებოდეს 5 გვერდს.

**ტექსტის ძირითადი ნაწილი** – ძირითადი ტექსტი შესაძლებელია დაიყოს თავებად და პარაგრაფებად. თავები გადაინომრება თანმიმდევრულად და დასახელებისაგან გამოიყოფა წერტილებით. პარაგრაფებს დაესმის თავისა და პარაგრაფის ნომრები. თავის დასახელება იწერება 16–იანი ზომის შრიფტით. ტექსტი შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე თავს, თითოეული თავი კი რამდენიმე პარაგრაფს. შესავალი, თითოეული თავი და დასკვნა უნდა დაიწყოს ახალი ფურცლიდან, ხოლო პარაგრაფების დაწყება ახალი ფურცლიდან აუცილებელი არ არის.

**დასკვნა –** წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის ნაწილს, რომელშიც აისახება ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგები, მათი თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული ღირებულება და ასევე პერსპექტიული გამოყენების სფერო.

**გამოყენებული ლიტერატურის მიმართ გასათვალისწინებელი მოთხოვნები:**

- სამეცნიერო ნაშრომებისა და გამოყენებული ლიტერატურის ნაშრომში დამოწმებისას შესაძლებელია როგორც შიდატექსტური დამოწმებები (APA-ს სტილის[1] დაცვით, ანბანური თანმიმდევრობით), ისე სქოლიოებში ჩამოტანილი (CHICAGO-ს სტილი[2]).
- ტექსტში გამოყენებული საილუსტრაციო მასალა – სურათები, ცხრილები, დიაგრამები, სქემები უნდა დაინომროს ნაშრომის თავის მითითებით, მაგ.: მაგ.: 1.1, 1.2 და ა.შ.
- შენიშვნები და დამატებითი ინფორმაცია სქოლიოების სახით, საჭიროების შემთხვევაში, დაერთვის თითოეული გვერდის ბოლოს უწყვეტი ნუმერაციით. შენიშვნების/სქოლიოების შრიფტის ზომა: 10.

დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია იყოს განსხვავებული მოთხოვნაც.

**ტექსტის დაკაბადონების წესი**

1. ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
2. შრიფტის სახე – Sylfaen;
3. ტექსტის შრიფტის ზომა – 12;
4. თავები/ქვეთავების შრიფტის ზომა – 16/14;
5. სქოლიოს შრიფტის ზომა – 10;
6. სტრიქონებს შორის მანძილი –1,5 ინტერვალი;
7. ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან – 3 სმ, მარჯვნიდან – 1სმ, ზემოდან – 2.5 სმ, ქვემოდან – 2.5 სმ;
8. ნაშრომის მოცულობა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია მერყეობდეს - არაუმეტეს 100 გვ. (200 000 ასო-ნიშანი), არანაკლებ 40 გვერდისა (80 000 ასო-ნიშანი).

---

[1] ციტირების წესები სრულად იხ. APA-ს სტილის ბოლო გამოცემის ოფიციალურ (განახლებულ) ვებგვერდზე: https://apastyle.apa.org/ https://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide/citation-guide-1.html

[2] ციტირების წესები სრულად იხ. CHICAGO-ს სტილის ოფიციალურ (განახლებულ) ვებგვერდზე: https://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide/citation-guide-1.html

სამაგისტრო ნაშრომს დანართის სახით უნდა ახლდეს სატიტულო ფურცლის ინგლისური თარგმანი.

**პლაგიატი:**
ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენება არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე) არის პლაგიატი.
პლაგიატი (plagiatus ლათ.) ნიშნავს მიტაცებულს. მეცნიერებაში პლაგიატი ეწოდება ნებსით თუ უნებლიედ, სხვისი იდეების საკუთარ იდეებად გასაღებას. ეს „იდეები" შეიძლება იყოს ნაბეჭდი ან ელექტრონული მასალა, დაწყებული მარტივი წინადადებებითა და დამთავრებული მთელი პარაგრაფებით; ამასთან, ეს შეიძლება იყოს სტატისტიკური მონაცემები, ლაბორატორიული კვლევის შედეგები, ხელოვნების ნიმუშები და ა.შ.
პლაგიატი შეიძლება იყოს განზრახული, ან უყურადღებობით დაშვებული. პლაგიატის აღმოჩენის ნებისმიერ შემთხვევაში მაგისტრანტი დაცვაზე არ დაიშვება. მან უნდა აიღოს დამატებითი სემესტრი ახალი ნაშრომის მოსამზადებლად.
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი (თსუ აკად. საბჭოს დადგენილება 37/2020; 13/05/2020).
პლაგიატის პრევენციის მიზნით სამაგისტრო ნაშრომი რეცენზენტისთვის გადაცემამდე უნდა შემოწმდეს ტექსტის ამომცნობი ელექტრონული პროგრამით Turnitin. სტუდენტს საშუალება ეძლევა, ელექტრონული სწავლების პორტალზე Moodle საგანგებოდ სამაგისტრო ნაშრომისათვის განკუთვნილ ანგარიშზე დარეგისტრირების შემდგომ საკუთარი ნაშრომი ატვირთოს როგორც სამუშაო (საცდელ) რეჟიმში, ისე საბოლოო ფორმატით, რის შემდგომ შესაძლებელია ანგარიშის ანალიზის ჩამოტვირთვა. პროგრამის მოხმარების ინსტრუქცია ელექტრონული სწავლების პორტალზე ხელმისაწვდომია ნებისმიერი სტუდენტისთვის.

**სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და დაცვა:**

**ა) ნაშრომის წინასწარი განხილვა და რეცენზირება:**
სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე ინიშნება მისი წინასწარი განხილვა (წინასწარი დაცვა).

- სამაგიტრო ნაშრომის საჯარო დაცვამდე სულ მცირე, ერთი თვით ადრე ნაშრომი წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ს/ს ინსტიტუტის/კათედრის სხდომაზე წინასწარი განხილვისთვის.
- წინასწარი განხილვისათვის არ არის აუცილებელი ნაშრომის აკინძული სახით წარმოდგენა.
- ს/ს ინსტიტუტი/კათედრა გამოყოფს სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტს. რეცენზენტი შეიძლება იყოს თსუ აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი), ემერიტუსი პროფესორი, თსუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ დოქტორანტი, მოწვეული სპეციალისტი.
- რეცენზენტს ნაშრომი უნდა გადაეცეს დაცვამდე არაუგვიანეს ორი კვირით ადრე.
- რეცენზენტი წარმოადგენს რეცენზიას წერილობითი ფორმით, რომელშიც ის აფასებს ნაშრომს (მაქსიმუმ 60 ქულით) წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. 31 ქულაზე ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე არ დაიშვება.
- რეცენზენტი ესწრება ნაშრომის საჯარო დაცვას და თავის დასკვნას საჯაროდ აცნობს კომისიას.

**ბ) სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯარო დაცვა:**

- წინასწარი განხილვის შემდეგ დაცვამდე 2 კვირით ადრე მაგისტრანტი საბოლოოდ დასრულებულ სამაგისტრო ნაშრომს ელექტრონულ ვერსიასთან (CD) ერთად წარადგენს შესაბამის ს/ს ინსტიტუტში/კათედრაზე. ნაშრომი უკვე შემოწმებული უნდა იყოს

ელექტრონული პროგრამით Turnitin და ახლდეს პროგრამიდან ჩამოტვირთული ანალიზის ცნობა.

- სამაგისტრო ნაშრომი უნდა იყოს აკინძული (ყდაში ჩასმული).
- სამაგისტრო ნაშრომს უნდა ახლდეს ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა, შეფასების (ქულის) გარეშე.
- ს/ს ინსტიტუტი/კათედრა რეცენზენტს უგზავნის სამაგისტრო ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნასთან ერთად. ნაშრომის ელექტრონული ვერსია ეგზავნება დაცვის კომისიის წევრებს.
- სამაგისტრო ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში სტუდენტი დაცვაზე არ დაიშვება.
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება საჯაროდ, რექტორის ბრძანებით დამტკიცებულიკომისიის წინაშე, რომელიც შედგება მინიმუმ 5 წევრისაგან. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის წევრი შეიძლება იყოს მაგიტრანტის ხელმძღვანელიც, მაგრამ ის არ მონაწილეობს მისი ხელმძღვანელობით შესრულებული ნაშრომის შეფასებაში.
- სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მოიცავს რეცენზენტის მიერ დაწერილ შეფასებას 60 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 31 ქულა) და ნაშრომის პრეზენტაციის შეფასებას დაცვის კომისიის მიერ 40 ქულის ფარგლებში (დადებით შეფასებად ითვლება 20 ქულა),
- ნაშრომი შეფასდება კომისიის მიერ წინასწარ შემუშავებული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე.
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე ხდება მაგისტრანტის მიერ კვლევის შედეგების ზეპირი პრეზენტაცია, რომელიც ფასდება კომისიის თითოეული წევრის მიერ (მაქსიმუმ 40 ქულა). ამ კომპონენტში მაგისტრანტის საბოლოო შეფასება იანგარიშება კომისიის ყველა წევრისშეფასების საშუალო არითმეტიკულით. მიღებული შეფასება დადებითად ითვლება, თუ კომისია მაგისტრანტის ნაშრომს შეფასებს 20 და მეტი ქულით.
- სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის მიერ დაწერილიქულისა და კომისიის საბოლოო შეფასების ჯამს.
- სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება, თუ მის მიერ მიღებული საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტი 51 ქულის.
- სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად (F/FX) შეფასების შემთხვევაში, მისი დაცვაზე წარდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია;
- სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი აისახება ოქმში, რომელსაც ადგენს კომისიის მდივანი. ოქმს ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.
- ოქმს თან უნდა ერთვოდეს რეცენზიები და კომისიის მიერ დაწერილი საბოლოო შეფასების უწყისი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები.
- დაცვიდან ორ სამუშაო დღეში ოქმი და უწყისი წარედგინება ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს შეფასების მაგისტრანტის სასწავლო ბარათში შესატანად.
- სამაგისტრო ნაშრომები ინახება შესაბამის ს/ს ინსტიტუტში/კათედრაზე 2 წლის მანძილზე, ხოლო შემდგომ ექვემდებარება (ან არ ექვემდებარება) დაარქივებას თსუ–ში დაგენილი წესის მიხედვით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ისტორია

ქართველიშვილი ალექსანდრე

# სახელმწიფოს მოწყობის ანტიკური კონცეფციები

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი დავით დგებუაძე,
ისტორიის დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2011

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების ერთ–ერთი შესაძლო ვარიანტი

| | |
|---|---|
| 1. ნაშრომი<br>( ფასდება რეცენზენტის მიერ) | მაქს. 60 ქულა<br>(დაცვაზე გასვლის წინაპირობაა მინიმ.11 ქულა) |
| ა) ნაშრომის ფორმალური მხარე (სტანდარტთან შესაბამისობა) | მაქს. 10 |
| ბ) ნაშრომის შინაარსობრივი მხარე | მაქს. 50 |
| • ფაქტობრივი მასალის ფლობა –15 ქულა<br>• კვლევისა და ანალიზის უნარი –15ქულა<br>• არგუმენტირებისა და დასკვნის უნარი– 10ქულა<br>• ნაშრომის ენობრივი და სტილისტური გამართულობა –10 ქულა | |
| | |
| 2. ნაშრომის წარდგენა (პრეზენტაცია)<br>(ფასდება კომისიის წევრების მიერ ნაშრომის საჯარო დაცვის დროს) | მაქს. 40 ქულა<br>(დადებითი შეფასება – მინიმ. 20 ქულა) |
| ა) პრეზენტაციის ვერბალური მხარე<br>• მასალის ფლობა –10ქულა<br>• ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი –10ქულა<br>• აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი–10ქულა | მაქს. 30 ქულა |
| ბ) ტექნიკური და ვიზუალური მხარე<br>საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი | მაქს. 10 ქულა |
| ნაშრომის საბოლოო შეფასება<br>(რეცენზენტის ქულას+კომისიის საბოლოო შეფასება) | 100 ქულა<br>დადებითი შეფასება<br>მინიმუმ 51 ქულა |

შესრულებული სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია მხედველობაში იქნეს მიღებული შეფასების ზოგიერთი სპეციფიკური კრიტერიუმი.

*დამტკიცებულია თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 2011 წლის 28 იანვარს.*

*ცვლილებები შეტანილია 04.10.2022 ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.*